„საზოგადოებრივი მაუწყებელი“

პრესრელიზი

დაუყოვნებელი გავრცელებისთვის 2010 7 მაისი

დამატებითი ინფორმაციისთვის დუკავშირდით:

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს

ტელ: 409 477; 409 377 pr@info.ge info@gpb.ge

„უყურეთ პირველ დებატებს -პირველზე სწორი არჩევანისთვის“

პირველად ქართულ მედია სივრცეში „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, გადასცემს თბილისის მერობის კანდიდატების დებატებს პირდაპირ ეთერში შაბათს, 8 მაისს და კვირას, 9 მაისს, 21:00 სთ-ზე. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ ხელი შეუწყო დებატების გამართვას „სამოქალაქო საზოგადოებისა და არჩევნების ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში.

ყველა დარეგისტრირებული კანდიდატი მოწვეულია მონაწილეობის მისაღებად დებატებში. შაბათს დებატები გაიმართება საქართველოს საარჩევნო კოდექსის ორგანული კანონის 129[17] მუხლით გათვალისწინებული კვალიფიციური პარტიების/ბლოკების მიერ წარდგენილ ხუთ კანდიდატს შორის, დანარჩენი ოთხი კანდიდატი მოწვეულია დებატებში მონაწილეობის მისაღებად 9 მაისს.

დებატებს გაუძღვება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტი ეკა მიშველაძე. დებატების დროს თითოეულ კანდიდატს დაეთმობა თანაბარი დრო შესავალი და დასკვნითი გამოსვლისთვის და წამყვანის შეკითხვების საპასუხოდ. კანდიდატებისთვის წინასწარ

ცნობილია დებატების ზოგადი თემები, თუმცა დებატების დაწყებამდე მხოლოდ ერთი საათით ადრე გადაეცემა ყველა კანდიდატს კონკრეტული შეკითხვები.